

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა მოსამართლეობის კანდიდატის ზურაბ ძლიერიძეის შეფასების შედეგი:

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

ლევან ნემსაძე



თარიღი:

29.04.2024



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

2024 წლის 29 აპრილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ზურაბ ძლიერიშვილის**

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ზურაბ ძლიერიშვილი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ რომელსაც გავეცანი. 2024 წლის 24 აპრილს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 28 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 9 წელსა და 6 თვეზე მეტია. კერძოდ:

- 1998-2006 წლებში იყო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ხოლო 2006-2008 წლებში - თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი;
- 2001-2006 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლო სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
- 2001-2003 წლებში, ასევე - 2014 წელს იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;
- 2005-2006 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;
- 2003-2007 წლებში იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელებზე მოწვეული სპეციალისტი;
- 2006-2008 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოწვეული ექსპერტი სხვადასხვა საერთაშორისო არბიტრაჟებში მიმდინარე დავებში საექსპერტო-სამართლებრივი დასკვნების მომზადებაში;
- 2009-2014 წლებში: იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი; ასევე - იყო თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი არბიტრი;
- 2012-2014 წლებში იყო კომპანიების გადახდისუნარობის საქმეებზე მომრიგებელი საბჭოს სასამართლოს მიერ დანიშნული წევრი;
- 2013-2014 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საგანმანათლებლო საბჭოს წევრი.

2014 წლის 17 ოქტომბრიდან განწესდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახროციელებდა სხვადასხვა პალატაში (სამოქალაქო საქმეთა, საკვალიფიკაციო, სადისციპლინო), იყო დიდი პალატის წევრიც, 2015-2017 წლებში იყო საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე, ხოლო 2020-2022 წლებში - სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური

ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის საკუთრებად რეგისტრირებულია: საცხოვრებელი ბინები ქ. თბილისში, 35 მ² ფართით 44 მ² ფართით; ძიწის ნაკვეთი დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.მჭადიჯვარში, 7560 მ² ფართით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს არავითარი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. სასამართლოში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 98.9% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 100% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; საანგარიშო პერიოდში (967 დღე) კანდიდატმა დასრულა 495 საქმის განხილვა.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ 7 საქმეზე გამოტანილი განჩინება, რომელთა გაანალიზებით დგინდება, რომ კანდიდატი ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს რთულ წინადადებებს, ასევე ვლინდება გარკვეული პუნქტუალური ხარვეზები, რაც საბოლოო ჯამში, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას და სათანადოდ აღქმას გარკვეულწილად ართულებს.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებში (მაგ: სემინარი თემაზე „სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები“; სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch – georgischen Diskurs“ Universität Des Saarlands, Saarbrücken, Germany 25-26 October, 2023 მომხსენებელი/მონაწილე „Materialler Schadenersatz bei Verkehrsunfällen“ („სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის გამოწვევები“); საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „კაპიტალის ბაზრის სამართლის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები: ევროპული დისკუსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირებისათვის“ და ა.შ.).

კანდიდატს 2005 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი 1997 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (თსუ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ.) თუ სხვადასხვა უწყების (საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და ა.შ.) სასწავლო ცენტრებში, ასევე - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

კანდიდატის ავტორობით/თანაავტორობით გამოქვეყნებულია უამრავი სამართლებრივი ნაშრომი (სახელმძღვანელო, სტატია, მონოგრაფია და ა.შ.).

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

სამი წლის განმავლობაში კანდიდატს არ აქვს ჩადენილი არც ერთი სამართალდარღვევა; „ა“ ქვეუნიქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“ ბევრ სხვა კომპონენტსაც მოიცავს, როგორცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ. (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდა) კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მივიჩნიე, რომ ზურაბ ძლიერიშვილი აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა, არის პრინციპული, მიუკერძოებელი პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, არის - სამართლიანი. ზემოაღნიშნული თვისებებიდან გამომდინარე მივიჩნიე, რომ იგი აკმაყოფილებს „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატთან საჯარო მოსმენისა და ასევე მის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, შეუძლია ემოციების მართვა და იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს. არის თავდაჭერილი და თავდაჯერებული. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატის პიროვნულ თვისებებს დადებითად ახასიათებენ გამოკითხული პირები. აქვს მაღალი რეპუტაცია, ავტორიტეტი, როგორც კოლეგა მოსამართლეებში, ასევე

სასამართლოს აპარატის თანამშრომლებში, იურიდიულ წრეებში; შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური, თუმცა რიგ შემთხვევებში არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების ცოდნა. კანდიდატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში/განჩინებებში სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად. აქვს ანალიზის კარგი უნარი. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა, თუმცა, მის მიერ გაცემულ პასუხებში გამოვლინდა გარკვეული შეცდომები და ხარვეზები როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო აქტებთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მის მიმართ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი. კანდიდატმა ზოგიერთ კონკრეტულ კითხვას სრულყოფილად არ უპასუხა და შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი პასუხებით, რიგ შემთხვევებში კანდიდატის პასუხები სცდებოდა კითხვის შინაარსს.

შესაბამისად, შეცდომებისა და ხარვეზების შემთხვევების, ასევე დასმული შეკითხვების სირთულის გათვალისწინებით, კანდიდატი „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით შევაფასე 17 ქულით.

კანდიდატს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით; დოკუმენტები დასაბუთებული და დამაჯერებელია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის დასაბუთება ზედმეტად არის გადატვირთული არამიზნობრივი მსჯელობით - ვგულისხმობ, რომ სამართლებრივი დოკუმენტები გაჯერებულია სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო წყაროების მოშველიებით, რაც ართულებს მის აღქმას და მხარეებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდეს.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 17 ქულით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მსჯელობა ლოგიკური, თანმიმდევრული და ანალიტიკურია. კანდიდატს აქვს წერის სათანადო უნარი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამართლებრივი დოკუმენტი შედგენილია რთული ენით, რთული წინადადებებით, მსჯელობა განვრცობილია ძალზედ ფართოდ, სიღრმისეულად, სამეცნიერო წყაროების მოშველიებით. ბუნებრივია, ყოველივე ეს, მეტყველებს კანდიდატის კომპეტენტურობაზე და არანაირად არ მიემართება მის საწინააღმდეგოდ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მომხმარებლებისათვის, მხარეებისათვის რიგ შემთხვევებში ეს აღქმის კუთხით სირთულეს წარმოადგენს, განსაკუთრებით არაიურისტი ადამიანებისათვის. გარდა ამისა, ასევე შესაძენეია გარკვეული პუნქტუალური ხარვეზები.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 17 ქულით.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია აღვნიშნო, რომ მეტყველებს გამართულად, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოცემს, მსჯელობს ლოგიკურად, აქვს უნარი სხვისი აზრის მოსმენისა. კანდიდატთან საჯარო მოსმენის ანალიზიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ზეპირი კომუნიკაციის შემთხვევაში, გარკვეულ საკითხებზე მსჯელობისას, კანდიდატი მსჯელობს მეტად ფართოდ, სიღრმისეულად და რიგ შემთხვევებში სცდება კონკრეტული კითხვის შინაარსს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“-ს მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 14 ქულით.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციისა და მასთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში არის სათანადო. გადაწყვეტილებას იღებს

დაუხმარებლად; აქვს კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები, სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი. „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“-ს მახასიათებლის გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით.

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობს ხშირად; გააჩნია სათანადო ინტერესი ცოდნის, ახალი გამოცდილებისა და უნარების შეძენისა. არის მოტივირებული და ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მასთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ არის შრომისმოყვარე და ღიაა სიახლეების მიმართ.

კანდიდატი „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით.

კანდიდატი აქტიურადაა ჩართული და ესწრება სასამართლებრივი სისტემისა თუ მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში; იჩენს ინიციატივას და აყენებს ახალ იდეებსა და წინადადებებს. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 5 ქულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს მივანიჭე - 89 ქულა.

ხელმოწერა



თარიღი

29.04.2024